



პრეს რელიზი რიონის აუზში დაინერგა წყალდიდობის მართვის თანამედროვე მეთოდები

თბილისი, 21 თებერვალი 2017 – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) შეაჯამეს ხუთწლიანი ინიციატივის შედეგები, რომელიც მიზნად ისახავს წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას საქართველოში.

პროგრამის დასკვნით ღონისძიებას, რომელიც 2017 წლის 21 თებერვალს გაიმართა, ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

ღონისძიება გახსნეს **შომბი შარპმა** - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში, **ეკატერინე გრიგალავამ** - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ, და **თამარ ზაგრატიამ** - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა. მათ შეაჯამეს ხუთწლიანი მუშაობის შედეგები და ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე წყალდიდობის რისკების უკეთესად მართვის საქმეში.

წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების მართვის ხელშეწყობის ინიციატივა განხორციელდა 2012 – 2016 წელს ადაპტაციის ფონდისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური ხელშეწყობით. პროგრამის ბიუჯეტმა 5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

პროგრამის განხორციელებამ ხელი შეუწყო წყალდიდობისადმი მედეგობის გაზრდას მდინარე რიონის აუზში, რომელიც ამ მხრივ ერთერთი ყველაზე მაღალი რისკის ზონაა საქართველოში.

ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა ექვსს მუნიციპალიტეტში - სამტრედიიაში, წყალტუბოში, ოწში, ცაგერში, ლენტეხსა და ამბროლაურში. მაღალი რისკის შემცველ ათ მონაკვეთზე აიგო ნაპირდამცავი ნაგებობები. 12 ჰექტარზე გაშენდა აგრო-ტყე მდინარის ნაპირების ეროზიისა და წარეცხვისგან დასაცავად. გამართულად ამოქმედდა ადრეული გაფრთხილების სისტემა. შესაძლებელი გახდა რიონის აუზის მდინარეებში წყლის დონისა და კლიმატური პირობების 24-საათიანი დაკვირვება.

გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ადაპტაციის ფონდის ხელშეწყობით შემუშავდა დატბორვის ტერიტორიების ზონირების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა სახის საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს მოცემული რისკის ზონებში. ჩატარდა წყალდიდობებით გამოიწვეული შესაძლო ზარალის სოციო-ეკონომიკური ანალიზი რიონის აუზის 18 მუნიციპალიტეტისათვის. შემუშავდა წყალდიდობისაგან დაზღვევის ამინდის ინდექსზე დაფუძნებული სქემა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მდინარე რიონის ტოპოგრაფიული შესწავლა და ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების კვლევა. შეიქმნა მეწყერებისა და დატბორვის დეტალური რუკები.

რიონის აუზის გამოცდილების და აქ შემუშავებული მოდელების დანერგვა შესაძლებელი იქნება საქართველოს სხვა მდინარეების აუზებშიც.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- სოფო ჭიჭინაძე, UNDP, sophie.tchitchinadze@undp.org, +995 599 196907
- ეკატერინე ბენდელიანი, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, pr@moe.gov.ge, +995 599 287940